2017-10-02
ბრძანება №:217/02-01

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქში მობინადრეთა საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ტარიფების განსაზღვრის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54–ე მუხლის პირველის ნაწილის, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის და სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 27 სექტემბრის N216/02-01 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

„1. თსუ სტუდქალაქში მობინადრეთა საცხოვრებელი ფართით სარგებლობის (სარგებლობა - ადგილი ოთახში, ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, ცივი და ცხელი წყლის მიწოდებით, ავეჯი, სხვა ფურნიტურა და სხვა დაცული საერთო სარგებლობის სივრცით ნაწილობრივი სარგებლობა) ტარიფი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ბაგების საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტისათვის - თვეში 50 ლარი;

ბ) ლისის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტისათვის - თვეში 150 ლარი;

გ) ბაგების საერთო საცხოვრებელში სტუდენტისათვის, რომელიც ცხოვრობს მეუღლესთან ან/და შვილთან/შვილებთან ერთად - თვეში 100 ლარი;

დ) ბაგების საერთო საცხოვრებელში მცხოვრები უნივერსიტეტის პერსონალისათვის (ერთი პირი) - თვეში 120 ლარი;

ე) ბაგების საერთო საცხოვრებელში მცხოვრები უნივერსიტეტის პერსონალისათვის რომელიც ცხოვრობს მეუღლესა ან/და შვილთან/შვილებთან ერთად (არაუმეტეს 2 პირისა) - თვეში 150 ლარი;

ვ) ბაგების საერთო საცხოვრებელში მცხოვრები უნივერსიტეტის პერსონალისათვის რომელიც ცხოვრობს მეუღლესა ან/და შვილთან/შვილებთან ერთად (არაუმეტეს 4 პირისა) - თვეში 180 ლარი;

ზ) ბაგების საერთო საცხოვრებელში მცხოვრები უნივერსიტეტის პერსონალისათვის რომელიც ცხოვრობს მეუღლესა ან/და შვილთან/შვილებთან ერთად (4-ზე მერი პირი) - თვეში 210 ლარი.“

ძალაშია 2018 წლის 30 ოქტომბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N:289/02-01, 30/10/2018წ.

„2. ლისის საერთო საცხოვრებელში ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქის შინაგანაწესით“ გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ქვემოთმოცემული სტუდენტებისათვის განისაზღვროს ბინადრობის შეღავათიანი, 120 ლარიანი ტარიფი:

ა) სტუდენტები, რომლებიც არიან დები ან/და ძმები;

ბ) სტუდენტი, რომელსაც გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ჰყავს დედა ან მამა;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი სტუდენტები, რომლთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეულის მიხედვით არის 70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა;

დ) არანაკლებ 3,5 GPA მქონე სტუდენტები (მიმდინარე მონაცემებით).“

ძალაშია 2018 წლის 25 იანვრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N 11/02-01, 25/01/2018წ.

,,2^1. ლისის საერთო საცხოვრებელში განთავსებული სტუმრებისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ტარიფები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საცხოვრებელი ფართით სარგებლობის (ადგილი ოთახში ელ. ენერგიის, ცივი და ცხელი წყლის მიწოდების, გათბობის, ავეჯის, სხვა ფურნიტურის, საერთო სასადილოსა და სამზარეულოს, სამრეცხაოს, სხვა დაცული საერთო სივრცის ნაწილობრივ სარგებლობის უზრუნველყოფით) ტარიფი -1 პირი თვეში 150 ლარი (არაუმეტეს 15 დღის შემთხვევაში -75 ლარი);

ბ) საცხოვრებელი ფართით მომსახურების (ადგილი ოთახში ელ. ენერგიის, ცივი და ცხელი წყლის მიწოდების, გათბობის, ავეჯის, სხვა ფურნიტურის მომსახურებით, დასუფთავება დალაგების მომსახურებით, ასევე კვებით მომსახურებით, ან მის გარეშე, რეცხვით მომსახურებით ან მის გარეშე, ჰიგიენის საშუალებებით მომარაგებისა და მომსახურებით ან მის გარეშე, ტრანსპორტით მომსახურებით ან მის გარეშე, ღონისძიების (შეხვედრა, საჯარო ლექცია, კონფერენცია) სტუდქალაქის დარბაზში ორგანიზების მომსახურებით (განათებით, გახმოვანებით, პროექტორით, ინტერნეტით, მომსახურე პერსონალით, ან მის გარეშე) ტარიფი დგინდება მომსახურების დაჯგუფებული სახეობების მიხედვით, უნივერსიტეტის სტუდქალაქის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული მომსახურების პაკეტების 1დღე-ღამის ღირებულების დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე, არანაკლებ წელიწადში ერთხელ. ამ ვადის გასვლამდე, მომსახურების შესაბამის პაკეტში ფასის განმსაზღვრელი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში 1 წლის ვადის ათვლა ხორციელდება ბოლო შეფასების თარიღის მიხედვით. კონკრეტული მომსახურების ხელშეკრულების ღირებულება განისაზღრება მომსახურების მიმღები პირის მიერ შერჩეული პაკეტის ღირებულებისა და მომსახურების ვადის შესაბამისად.

2^2. წინამდებარე ბრძანების 2^1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების პაკეტების ღირებულების დადგენის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის სტუდქალაქის ადმინისტრაციისა და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის წერილობითი მოთხოვნისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მითითებით დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტს. მომსახურების აუდიტორული დასკვნის საფუძველზე დადგენილი ღირებულებები მტკიცდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ცალკე ბრძანებით.''

ძალაშია 2018 წლის 08 ივნისიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N 153/02-01, 08/06/2018წ.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 06 სექტემბრის №201/02-01 ბრძანება.

4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაში შედის 2017 წლის 01 ნოემბრიდან.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ნუნუ ოვსიანიკოვა**